# ბახტრიონი

ფასი 5.000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების სტრიქ.: ფასი 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 20 | კვირა 19 ნოემბერი | № 20



## იბეჭდება და აჩლო მომავალში გამოვა

ყოველ წლიური სარჩევი 1923 წლისათვის

## „მთელი ამიერ-კავკასია"

სარჩევში მოთავსებული იქნება საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, აფხაზეთის და აჭარის რესპუბლიკების ეკონომიური, საზოგადოებრივი სავაჭრო და სასოფლო სამეურნეო ხასიათის დაწვრილებით ცნობები. ყველა დაწესებულებები წარმოებები როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო ექიმები, ინჟინრები და ყველა საზოგადო მოღვაწეები მოვალენი არიან დაუყონებლივ მოაწოდონ სარჩევის რედაქციას დაწვრილებით ცნობები თავიანთ ორგანიზაციების შესახებ, (დაწესებულებათა დასახელება, მისამართი, ტელეფონი, პასუხისმგებელ ხელმძღვანელების გვარები და სხვა.)

### ს ა რ ჩ ე ვ ი

„მთელი ამიერ-კავკასია" იბეჭდება საქ.-გარეთის გამოცემათა მსგავსად,

კარგი ხარისხის ქაღალდზე და კალინკორის ყდით.

გამოცემის მისამართი: პლეხანოვის პრ. № 138 ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომსმარებელთ საზოგადოება („საკტპო") მესამე სართული.


## ამიერ კავკ. რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 24 და 25 ნოემბერს თბილისის სალიკვიდაციო საწყობში [დიდუბე, გორის ქ.] დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკ. რკ. გზ. სხვა და სხვა სადგურებზე მოუკითხავ ტვირთისა და ბარგისა, აგრეთვე უდოკუმენტო ტვირთისა, ნაპოვნ საგნებისა და დავიწყებულ ნივთებისა. მეორედი საჯარო ვაჭრობა გაუყიდავ ტვირთისა დანიშნულია იქვე 30 ნოემბერს.

ქვემოდ მოყვანილია გაგზავნილის №№ გასაყიდ ტვირთის ადრესატები და ბარგის №№, გასასყიდ ბარგის და ტვირთის კუთვნილობის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში, ვაჭრობის დღეს კი, მის დაწყებამდე.

1. მოუკითხავი ტვირთები ადრესატების ჩვენებით: №№ 222286 ქაღალდის ამს. სამმართველო, 8097—ანდრეევი; 45583—იოსელიანი; 42253—მურადოვი; 1056 -კობაძე; 14728, 15228 და 15872—მიწად მთქმედ. კომის. წარმომადგენელი; 11680—აზერ. მიწად მოქმედ. კომისარიატი; 225628—ეპშტეინი; 225646—კონტრ. ტრანსპორტი.

2. მოუკითხავი ბარგი: №№ 8967—ბაქო, 488—გურჯაანი; 31212—ბორჯომი, 25687—სტავროპოლი; 118899. 118977, 118981, 118973—რიაჟსკი; 6766—ბაქო; 6442—ბაქო; 7670—ბაქო, 101832—მოსკოვი; 40691—ბათუმი; 3433—ზესტაფონი; 5126—კრასნოდარი; 7011—ტიხორეცკი; 40366—როსტოვი; 9303—კრასნოდარი; 10872—ბაკურიანი; 28936—არმავირი; 773—ტყვიბულა; 1982—ევლახი; 6616—ქუთაისი; 34663—ახალსენაკი 41266—როსტოვი; 4356—კრასნოდარი; 10163—ჰილადიდი 293—აბინსკაია; 31470—ნავთლუღი; 39031—ესენდუკი; 9356—ლიბინსკაია; 36824—ბათუმი; 6602—პეტროვსკი; 3725—ბათუმი; 1929—კამემსკაია; 2009—ქიათურა; 67031—მოსკოვი; 1475—ევლახი; 65—ბაქო; 21216—ალექსანდროპოლი.

3. უდოკუმენტო ტვირთები მათი სახელწოდების ჩვენებით და მათი №№: 22725—სასოფლო-სამეურნეო იარაღი, 629—საშინაო ნივთები, 616—ბოჭკები; 615—თოკები; 71449—პურის ფქვილი;

48558—საშინაო ნივთები; 73058—პროდუქტები; 147010—მავთული; 2539—მარილი; 116—სხვა-დასხვა; 87503—მარილი.

---

ვინაიდან ქალაქში გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც თავს აცხადებენ სანიტარულ ზედამხედველობის წარმომადგენლად და არსებითად კი სინამდვილეში არავითარი დამოკიდებულება ამ დარგთან მათ არა აქვთ,

**ამ ნიადაგზე ყოველგვარ ბოროტმოქმედების თავიდან ასაშორებლად**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი აცხადებს

## ქ. ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ,

რომ სანიტარულ ზედამხედველობის წარმომადგენლებად, რომელთაც ევალებათ ქალაქში

## სურსათ სანოვაგის, ბინების

**და საერთო სანიტარიის ზედამხედველობა და**

## სანიტარულ შრომის დაცვა

**არიან შემდეგი პირები:**

ა) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატიდან:

1. სანიტარულ ეპიდემიურ განყოფილების გამგე ექიმი ნაზარეტიანი.
2. სანიტარ. ეპიდემიურ განყ. გამგის თანაშემწე ექ. კალიდევი.
3. სასურსათო საბინაო სანიტ. სექციის გამგე ექ გაბიჩვაძე.

ბ). ქალ. ჯანმრთელობის განყოფილებიდან:

1, სანიტარულ ეპიდემიურ განყოფილების გამგე ექ. მეუნარგია.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უბნის სანიტ. | ექიმი | არდაზიანი | თანაშემწე | იაშვილი |
| „ | „ | ტერ-გეონდიანი | „ | ხახანოვი. |
| „ | „ | ხატისოვი | „ | ძიძიშვილი |
| „ | „ | შენგელია | „ | გოთოშია |
| „ | „ | ნათიშვილი | „ | განი |
| „ | „ | ვეფხვაძე | „ | გაბელია. |
| „ | „ | მაჩაბელი | „ | დავიდოვი |

გ) შრომის დაცვის განყ. სანიტარულ სექციიდან:

1. ექ. გოლდმანი.
2. „ ანდრონიკაშვილი
3. „ მელიქ შახნაზაროვი.

ყველა აღნიშნულმა პირებმა რევიზიის დროს უნდა წარმოადგინონ თავისი მანდატები.

**დანარჩენი პირები კი, რომლებიც გამოაცხადებენ თავს სანიტარულ ზედამხედველობის წარმომადგენლად იქნებიან პასუხის-გებაში მიცემულნი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **გრ. კუჭაიძე.**

სანიტარულ ეპიდემიურ გან. გამგე **ნაზარეტიანი.**

---

## ნიხრი აბანოებზე

აბანო № 3 (ყ. სუმბათაშვილისა) ნომრები 1, 2, 3. 100 თუმ. საერთო 2,000 თუმ.

აბანო № 4 (ყ. არგუთინსკისა) ნომრები 1,2,3,4,5,6, 100 თუმ. საერთ. 2,000 თუმ

„ № 5 (ცოვიანოვისა) ნომრები 1,2,3,4, 75,000 თუმ. საერთო 15,000 თუმ.

„ № 6 (ყ. „ფანტაზია") ნომრები 1,2,3,4, 75,000 თუმ. საერ. № 1 2,000 თუმ.
„ 2 15,000 თუმ.

№ 7 და 2 (ირაკლისა და შალამბოვისა) ნომ. 1,2,3,4,5,6,7,8,9,10, 10,000თუმ. საერთო 2,000 თუმ.

„ № 7 (ყ. ორბელიანისა) ნოერები 1,2.3,4,5,6, 10,000 თუმ. ნომრები 7,8,9,10, 75.000 თუმ.

„ № 9 (მირზოევისა) ნომრები 1,2,3,4,5,6,7,8, 100. თუმ. ნომრები 9.10, 75,000 თუმ. საერ. ქალ.—კაც. 2,000 თუმანი

„ № 14 ნომრეწი 1, 2, 3, 4, 5, 10,000 თუმ. საერ. ქალ. 2,500 თუმანი

„ № 13 საერთო კაც. 2,500 თუმანი.

კომუნალურ განყოფილების გამგე **ბაქრაძე**

აბანოების გამგე **ახრიევი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თათბირი ქართულ დრამაზე.

წარსულ კვირას სახალხო განათლების კომისარიატში შესდგა თათბირი ქართულ დრამის შესახებ. კრებას, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები მწერლობის, თეატრის, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების და რედაქციების. სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგოლ რობაქიძემ აუწერა ქართული თეატრის კრიზისი და შემდეგ გაიმართა კამათი.

ილაპარაკეს თითქმის ყველა რეჟისორებმა და არტისტებმა, კამათში გარეშე პირებმაც ჩაერიენ, არც ერთ ორატორს არ უარუყვია, რომ დღეს ქართული თეატრი განიცდის მომაკვდინებელ კრიზისს.

იყო აგრეთვე მიზეზების ძებნა, ხანდისხან-არა იმ მისამართით, როგორიც საჭირო იყო, მაგრამ საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ყოველი ორატორი, თითქო აქ ლაპარაკი იყო მიცვალებულზე.

რასაკვირველია, არ უნდა თქმა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენობა საფუძველია ყოველი დიდი ხელოვნების, ამის უარყოფა იქნებოდა შემოქმედების უარყოფა, მაგრამ ამ კრებაზე ლაპარაკი დიდ ხელოვნებაზე კი არ ყოფილა, არამედ ლაპარაკი იყო რომ ქართულ თეატრს ჰქონოდა ის სახე, რომელიც მას ჰქონდა ამ ათეული წლების წლების წინ, როცა ცარიზმის სალტე ახრჩობდა ყოველ ეროვნულ შემოქმედებას.

მართალია, სომხები და ებრაელები ისტორიულად მიჩვეულნი არიან სხვის სამშობლოში თავის კარგად გრძნობას, მაგრამ ესეც ფაქტია, რომ მათ საუკეთესო თეატრები შეჰქნეს მოსკოვში, რომელთაც აღტაცებით იხსენებენ რუსეთის და უცხოეთის მწერლები.

თუ ეს მოახერხეს იმ ხალხმა, რომელსაც არ ჰქონია თეატრალური ტრადიცია, სირცხვილი არის საქართველოში ასეთი კრიზისი იყოს თეატრის.

მართალია, დღეს დრამა თვითონ განიცდის კრიზისს და ვერ მოუნახავს ფორმა ახალი შემოქმედებისთვის, მაგრამ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, უკვე გადადის ეროვნულ სირცხვილში.

ქართველ ხალხს ვერავინ დააყვედრის, რომ თეატრს მზრუნველობით არ ეპყრობოდეს.

ამ რამდენიმე წლის წინად მშვენივრად ჩატარდა პირველი ლატარეა და დღეს მეორე. თავის დროზე, როცა თეატრი თეატრს აგავდა, ხალხიც ბლომად დადიოდა, დღეს კი თეატრი ,,ნეუდაჩნიკები"-ს თეატრად გადაიქცა... თათბირზე ამის შესახებ მშვენივრად ილაპარაკა ა. ალ. წუწუნავამ. არტისტების მხრივ თავი იმართლა ა. იმედაშვილმა. დრამის რეჟისორები ყველას სდებდნენ ბრალს, მაგრამ ერთი მაინც აშკარა იყო, რომ ქართული დრამა არ დაიღუპებოდა, რომ მეტი შეგნება იყოს მოვალეობისა.

საქართველოს ძველმა და ახალმა მთავრობამ ქართულ დრამას გაუჩინეს ისეთი ბინა, როგორიც არის რუსთაველის თეატრი. უკეთესს თეატრს კავკასიაში ვერც ერთი ერი ვერ ინატრებს. როგორც ეტყობა არც ძველი და არც ახალი მთავრობა არ ზოგავდნენ სახსარს, ქართული საზოგადოებაც მოვალეობის შეგნებით ხვდება ეროვნულ საქმეს.

—მაშ რა იწვევს კრიზისს?

ერთი უნდა ითქვას აშკარად და გაბედულად: სოციალისტური მთავრობა არც წინათ, არც ეხლა არ იჩენს იმდენ ინიციატივას, რომ საქმეს შეხედოს დიდი მაშტაბით.

მაშინ, როცა მილიარდები იხარჯება სხვა საქმეებზე, ქართული ხელოვნება სრულიად მოკლებულია სახსარს.

თვითონ ტფილისში, როცა არა თუ მწერლებს, სახელმწიფო გამომცემლობას არა აქვს არავითარი თანხა, არსდება აქციონერული საზოგადოება უცხოელების მილიარდებიანი თანხით. როცა ევროპაში და რუსეთშიაც ათასი სტიპენდიანტია, იმათში ერთი არ ურევია ხელოვანი, (ალბად ხელოვანთ არ ჰყოლიათ პარტიული ნათესავები) და საქართველოში თავი მოიყარა, როგორც ამბობს ალ. წუწუნავა, ოთხი მოდგმის რეჟისორებმა. ხელოვნებაზე მაგარი ინტრიგა ამ შემთხვევაში შეუძლებელია არ იყოს თვითმპყრობელი და სწორედ თათბირზე ამან იჩინა თავი. მთავარი სანიშნებელი იყო ალ. წუწუნავა, როგორც კომისარი, მაგრამ წუწუნავამ დაამტკიცა, რომ ქართული ოპერა მან შეჰქმნა, საუკეთესო დადგმები დრამაშიაც მისია და როგორც კომისარმა კი ისეთი დისციპლინა შეჰქმნა, როგორიც ქართულ თეატრში არასოდეს არ ყოფილა.

ამ შემთხვევაში მას დაცვაც არ სჭირია. ქართული თეატრი ბევრს მოიგებდა, რომ სხვაზე შეიძლებოდეს ასე წერა. მაგრამ არა თუ ერთი მერცხალი, ერთი არწივიც ვერ მოიყვანს გაზაფხულს, თუ არ იქნა ატმოსფერული გავლენა და ეს აკლია სწორედ ქართულ თეატრს.

ტყუილი იქნება ყველა რეზოლიუციები და ყველა სურვილები, თუ არ მოხდა საჭირო გაწმენდა. ქართული დრამა უნდა ჩაებაროს ერთ რეჟისორს, ტფილისში რუსთაველის თეატრის გარდა ბევრი სხვა თეატრებიც არის, სხვა უადგილო რეჟისორებმა იქ ეძებონ თავისი გამართლება.

მაშინ არტისტების კადრიც შემოკლდება და ახალი ძალებიც მივლენ თეატრთან. თორემ რუსთაველის თეატრს დღეს შეცდომით ჰქვია აკადემიური თეატრი- აქ ისე შერეულია სტილი, როგორც ბაბილონში.

ამიტომ უნდა მოძებნილ იქნას ეს რეჟისორი (ამის შესახებ ლაპარაკობდა კრებაზე პაოლო იაშვილი) მთავარ თეატრისთვის პარალელურად უნდა დაარსდეს პატარა თეატრი ძიების (ძიების თეატრს უყვარს პატარა ადგილი)—აქ შეიქმნეს ახალი კადრი თეატრის.

ის არტისტები და რეჟისორები, რომელნიც დღეს ამძიმებენ თეატრს შეჯგუფებით, უნდა დარიგებულ იქნან ტფილისის და პროვინციის ყველა თეატრებში. მწერლობამ უნდა შექმნას ახალი რეპერტუარი და თარგმანი, ან ორიგინალი, რომ იყოს სისტემა, რომ იყოს ამორჩევა და არა შემთხვევითი შერჩევა პიესებისა.

მთავრობამ უნდა მიიღოს ღონისძიება—რომ დაარსებულ იყოს სახელმწიფოს სტუდია, რომ ევროპაში გაგზავნილ იქნენ ახალგაზრდა არტისტები და რეჟისორები და რაც შეიძლება დაჩქარებით, და მაშინ შეიძლება თეატრის კრიზისის შენელებაზე ლაპარაკი, მანამდე პალიატივები ვერ უშველიან საქმეს და თეატრის კრიზისზე ყოველ სეზონში იქნება ლაპარაკი.

ქართულმა საზოგადოებამ და ქართულმა მთავრობებმა უნდა ისწავლონ დიდი მაშტაბი ხელოვნებაში და ხელოვნების თვითმპყრობელი მნიშვნელობა.

# პრესსა

## ,,ქართული კულტურის კ- იზისი".

ამ სათაურით გაზეთ კომუნისტში (№ 263) დაბეჭდილია წერილი ქართულ

კომუნისტის რაჟდენ კალაძის ავტორი ჯვარს უსვამს მთელ ქართველ ხელოვნებას თეატრთან ერთად, და იმედ აქვს რომ ამ საშინელ კრიზისს მხოლოდ ის უშველის თუ ,,ქართული კულტურის ყველა ძალები შეძლებისა და გვარათ ერთი აზრით ერთის მისწრაფებით გაიმსჭვალებიან, სახელდობრ იმით, რომ საბჭოთა. ქვეყანაში მხოლოდ პროლეტარული იდეოლოგიის დანერგვა შეიძლება და არა სხვა რომელიმესი".

რომ გაიხსნას აზრი ამ ციტატისა, ჩვენ დავინახავთ რომ საჭიროა მთელმა ქართველმა ხელოვნებამ მოიყაროს თავი და ერთბაშათ ჩაეწეროს ,,პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში" სადაც რ. კალაძე თავჯდომარეა, და მისი მარჯვენა ხელი აკოპ აკოპიანი. ქართული მწერლობის კრიზისზე წერის ყველამ თავი დაანებოს,

არ ითქმის ეს არც მუსიკაზე, და მხატვრობა ხომ ახლა ხდება იმედიანი, და თავის ისტორიას იწყებს უსათუოდ შესამჩნევი ნიჭით და შეგნებით. ამის მაგალითი ევროპაში გაგზავნილი ლიაურიატები), და თბილისის ახალგაზდა მხატვრები, რომელნიც პირობების მიხედვით პირდაპირ სასწაულს ახდენენ დარჩა თეატრი· ამ კრიზისი არი. არი კრიზისი მიტომ რომ ქართულ თეატრს დიდი ისტორია აქვს ის წასულში არა თუ გამართლებული იყო არამედ შესანიშნავიც, და კრიზისი გამოიხატება მასში, რომ დღევანდელი თეატრი გაცილებით დაბლა სდგას, ვიდრე მ. სი წინა პირი. 13 ნოემბერს გამართულ ,,სათეატრო თათბირში" საკმაოდ გამოირკვა მიზეზები კრიზისის, და ისიც თუ რა არის საჭირო მისი ლიკვიდაციისთვის. ეს ჩველფერი სხვა გვარათ ესმის მოქ. რაჟდენ კალაძეს. პირველად ყოვლისა მას ვერ გაუგია თათბირის თავჯდომარის გრ. რობაქიძის თქმა: მას არ უთქვამს: ,,ქარ თველ ერი თუ გენიოსს წარმოშობს, თუნდაც ის (ერი ორასი წელიწადი დამონავებული იქნეს თავის კულტურას ააყვავებს რობაქიძე ამბობდა ერის გენიაზე, ერის შინაგან სიძლიერეზე და არა ერისაგან წარმოშობილ გენიოსზე. ამას გაგება უნდა. საკმარისია კალაძის წერილში დაირღვეს პრინციპი, რომ ყველაფერი ,,პროლეტარულ კულტურა" წერილი იქნება თავისებური შთაბეჭდილება, თეატრის შესახებ" გამართულ კრებისაგან, სხვა არაფერი.

რად არ აკვირდება მოქ. კალაძე, მოსკოვის ცხოვრებას. ყველა საბჭოთა ქვეყნების შტაბი მოსკოვია, და თუ სხვა გაკვეთილებს კომუნისტები მოსკოვს იღებენ, საჭიროა ხელოვნებაშიც მოიკოვი იყოს მაგალითი.

თქვენ საქართველოში გინდათ მთელი ხელოვნება და თეატრი პროლეტარული იყოს, ამაში თქვენ ანატოლი ლუნაჩარსკი რა დაგეთანხმებათ მიტომ რომ ის დიდის აღტაცებით და მზრუნველობით ეპყრობა თუნდაც ისეთ დახავსებულ თეატრს როგორიც არის პატარა თეატრი". და ჩვენ ყველას გვახსოვს როგორის მეფურ-ზეიმით გადაუხადა პროლეტარულმა მოსკოვმა, ლუნაჩარსკის მეთაურობით, იუბილე ,,პატარა თეატრის" გიგანტს ალ. სუმბათაშვილის—იუჟინს. მოსკოვის სამხატვრო თეატრი, რომ საოცნებო და საყვარელ თეატრად არის, რ. კალაძის უფროსი ამხანაგებისათვის.

ქართულ თეატსაც დაიხსნის სწორედ ასეთი სიყვარული და ყურადღება,

ასტამურ.

# ვირის კბილი.

პაოლო იაშვილს

კვირე საღამოს, როცა მზე თბილი
კიდევ მოსჩანდა გორების თავზე—
გარდაცვლილ ვირის ვიპოვე კბილი
და სულში სევდა ვერ მოვათავსე.

ეს კბილი იყო მუნიან ვირის
(მე ასე მინდა რომ დავიჯერო)
მის ხსოვნას ეხლა ყვავები ტირის—
ზაფხულში საწყალს უყვარდა ჩერო.

ის ამ ქუჩაზე ხშირათ მინახავს
ჩემი ალერსით განაკვირები.
და ჯერ მე ბავში არ გამილახავს
რადგანაც ბავშებს უყვარს ვირები.

რაჟდენ გვეტაძე

## ფერმკრთალი სახე.

ფერმკთალი სახე. ლურჯი თვალები.
მე უშენობას ვერ გადავიტან
ფიქრს აწვალებენ ამორძალები,
მსურს ყველაფერი გითხრა თავიდან:

არ მიყვარს თეთრი იასამანი
ის გაგიჟებულს თვალებს ამირევს.
ჩემი ფეტიში—ლურჯი დამანი
შენს მოლოდინში გულს გადამიღევს

ჩვენ თუ ორთავეს გრძნობა დაგვნებდა,
დავწურავთ განცდებს, ვით მწიფე მტევანს—
ვნება ავისხათ ტანზე ჯაგნებათ
და წინ გაუსწროთ ადამს და ევას.

ზღვას ჩავეხლართოთ დაშლილ ზოლებათ
დღე ღამე ვკრიფოთ და ღამე დღისით,
გრძნობა ალერსით გაიზომება
და ვერ გახდება სხვა ჩვენი ღირსი.

თვალებში დარდი ჩალოგინდება
ამაკანკალებს დრო დასაშური
და ორსევდიან ანდროგინებათ
ფიქრი დასჭკნება ვით ბუდეშური

მაგრამ მე ცრემლი არ დამასველებს,
უხმო ლოდინით მოვირკალები
დაიბნა ხედვა, აღარ მასვენებს
ფერმკრთალი სახე, ლურჯი თვალები.

ნინო თარიშვილი.

# თვითმკვლელობა ეკლესიაში.

ტიციანის ლანდს.

Один, один. А смерт
так близко.

ა. ბელიჲ.

ეს მაშინ მოხდა, როცა სინაზე
გლოვის ტაძარში მკრთალად შევიდა.
არავინ დარჩა ყვითელ სცენაზე.
და სულიწმინდა ჰქროდა ზევიდან.

ანგელოსები ჩემთან სტიროდნენ.
სჩანდა სამრეკლოს უხმო პროფილი.
მწუხარე შუქი... მეფე იროდი.
ქრისტე მიმქრალი ავადმყოფივით.

ჩემი ოცნება—თეთრი მერცხალი—
ულონო გუმბათს მაღლ გასცილდა.
ვიღაც ამბობდა: ო, შემიწყალე...
და ხმებს ვუსმენდი უცხო ვალსიდან.

როცა ფიქრების იდგა გრიგალი
და უცნაური ლოცვის ხარება,—
უეცრად თავი მე მოვიკალი...
ეს უკვე იყო დასამარება.

მას შემდეგ ვიღაც სხვები დადიან...
მახსოვს ღიმილი გლოვის ემბლემით.
ო, ჩემში მხოლოდ ჩემი ლანდია
და სინანულის ლურჯი ცრემლები!.

გობრონ აგარელი.

# ბიბლიოგრაფია

## მეოცნებე ნიამორები

წიგნი № 7. რედაქტორი ვ· გაფრინდაშვილი

ქ. ქუთაისი.

სამსხვერპლო კეთილშობილებით ჰბეჭდავს ქუთაისში ვ. გაფრინდაშვილი თავის ,,მეოცნებე ნიამორებს", ქუთაისიდან ყველა მოსული ამბებში, ეს ყველაზე ნათელი და იმედიანი. ქუთაისი დიილუპა, მას ახლა ქვემო იმერეთის აზნაურებიც აღარ კადრულობენ, და უკანასკნელამდის ერთად ერთი კეთილშობილ ვალერიან გაფრინდაშვილი ჩადიოდა იქ, რომ გამოეცა თავისი ნიამორები. ეს უკანასკნელი სიხარულიც მოაკლდა ქუთაისს. ,,ნიამორების" რედაქცია თბილისში ჩამოვიდა და ქუთაისი სრულებით დაცარიელდა.

№ 7 ჟურნალის, ერთი საუკეთესო ნომერია, ყველა უწინ გამოშვებულთა შორის. რვეულს ამაგრებენ ტიციან ტაბიძის და თვით რედაქტორის წერილები· უკანასკნელს დეკლარაცია ჰქმნია, და სრულებით ახ,ლის გაგებით ეხება თანამედროვე პოეზიას, რომელიც ჰქნის ახალი მითს წარმართული ეპოქის ხელოვნება, ადიდებდა მითოლოგიურ ღმერთებს, (აპოლონი, ზევსი, ვენერა), თანამედროვე პოეტები და კერძოდ საქართველოში ცისფერი ყანწელები" მიმართავენ ქრისტიანობისაგან შექმნილ მითებს. თვით სახელები პოეტების მითში გადადიან. ავტორი სამუდამოდ ამართლებს თავის მეგობრების და საკუთარ მედთოდს როდესაც ლექსში პოეტი-ძმა შედის როგორც შთაგონება, როგორც თემა შემოქმედებისა. დეკლარაციაში, რომელიც დაწერილია დიდის ცოდნით და ენტუზიაზმით, ბევრია ახალი, როგოც ქართულის ისე, საერთო ხელოვნების თვალსაზრისით. ყველა ამის გარჩევას და ანალიზს შეიძლება ცალკე გარჩევა უნდოდეს და ეს თავის დროზე მოხდება.

ტიციან ტაბიძის წერილი, სავსეა იჭვით, და ბასრიაროგორც სკალპელი. ორპირის ოქროპირი მალდარორი" შესავალია წიგნის რომელსაც დაერქმევა ,,ეპოპეია ტიციან ტაბიძე". წერილში ბევრია მომენტები, რომელის სიძლიერით და ჟრუანტელით, გვაგონებს ტ. ტაბიძის" შესანიშნავ პოემას ,,ცხენი აგელოსით". ამ პოემიდან, ლექსების განწყობილებაში, დაბეჭდილი შესავალი, ისეთივე მოულოდნელი და ამაღელვებელი, როგორც სხვა ნაწილები პოემის დაბეჭდილი ,, ბარიკადში"

ჟურნალი, როგორც თითქმის ყოველთვის, იწყება გრ. რობაქიძის ლექსით ,,ავტომედალიონი" ძველი ლექსით, დაწერილია პაოლო იაშვილის საპასუხოთ ხუთი წლის წინათ.

სტრიქონი: ,,რომ ქვეყნის ბედი გადვიტეხო ჩემს ხერხემალზე თითქოს წინადგრძნობაა გრ. რობაქიძის ჯერ დაუბეჭდავი პოემის ,,თბილისის ხერხემალი" რომელსაც ჩვენ მოველით როგორც წარღვნას.

პაოლო იაშვილი ძვირათ სჩანს ,,მეოცნებე ნიამორებში". მისი ლექსი შეწირულია ახლად გადაჩვლილ ლილი მეუნა

## თეთრი ალი

მზით ალანძულს წითელ წყალში თეთრი ალი კოხტად სცურავს.
რა გამოვა ჭრელს ნაპირზე სოსანის ფერს საბურს სწურავს.

მუხის ტყიდან თხა გამოდის სალამურის კიქლის დაკვრით.
სხვა ქაჯებიც მას მოსდევენ თამაშით და ბუქნის ჩაკვრით.

ოხუნჯს რქებზე ეჟვანი აქვს, იცინის და სხვას აცინებს.
ერთ ტყის გოგოს ხელს გადახვევს და მეორეს გააცილებს.

მაჯლაჯუნა იჭყიტება, არ უშვებენ სტუმრად ლხინში.
იგი ყველას ეჯავრება ელანდებათ სიზმრად ძილში.

თეთრი ალი ჩრდილ ქვეშ ნადვლობს არ ებმება მათ ფერხულში.
ღმერთ-კოპალეს შეჰხვედრია, ჩარჩენია ტრფობა გულში.

**სანდრო შანშიაშვილი**

რგიასთვის, რომლის სიკვდილმა ასე დაალონა მეგობრები და პოეტები. ლექსი სავსეა სიყვარულით სინაზით და სამუდამოდ და რჩება ხსოვნაში·

ასე მგონია ფუტკართ გუნდი დაესეოდა შენს მკვდარ სხეულს ტკბილ სხეულს-ლილი. ნევრასტენიით და წვალებით არის აძგერებული კოლლაუ ნადირაძის ლექსი გამგზავრება ყვითელ მალაელ თან ეს თემა ნამდვილათ განცდილია ავტორისათვის, დიდხანს სტანჯავდა მას და გაგვეხარდება თუ ეს უკანასკნელი შეწუხება იქნება, ნიჭიერ და გამაგრებულ პოეტისათვის.

ს. კლდიაშვილს „ნატიურმორტ" მოგონებაა სანდრო ციреკიძის მთვარეული სტრიქონების, ამ მხრივ ცირეკიძეს მეტოქე არა ჰყავს, და კლდიაშვილსაც არ სურს, როგორც სჩანს, ამ მოვალეობის ასრულება, ყოველ შემთხვევაში „ნატიურ მორტ" პოეზიიდან არის.

ვ. გაფრინდაშვილი ფანტას მაგორიას მოყვარულია, როგორც არავინ ჩვენს პოეზიაში. ის ქმნის მეტად რთულ ჩვენებებს, და ალბათ ვერც ერთი რეჟისორი ვერ მოვა, ამ ჩვენებათა შესრულებამდის. მან გააცოცხლა ძვირფასი ქვები, და თეატრში შეიყვანა სრულებით ახალი და ფატასტიური პერსონაჟები. ასეთი სახის არის მისი უკანასკნელი ლექსიც საფირონი—აშორდია, ეს ლექსი საუკეთესო მაგალითია. არიან ტიპების, რომელსაც ავტორი ეხება თავის დეკლარაციაში. „ნიამორეგზში" გამოჩნდა დაგვიანებული ელენე დარიანი. ლექსი გამარჯვებულია, სრულებით ორგინალური, და უჩვეული ქართველ პოეტებისათვის. არის ცოტა გადამეტება. მაგრამ ეს სრულებით არ შორდება პოეზიის ფარგლებს.

არიან დებიუტანტები: ლევან ასათიანი და გზოდელი. ორივე ინაზებიან პირველის ლექსი ვარიაცია არის მისი „სანტიმენტალურ წეროსი" ზოდელის ლექსის რიტმი ტკბილი და დამლალავია.

ჟურნალი ჩვეულებრივათ კარგათ არის გამოცემული.

## დოკუმენტები და მოგონებები

### დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში.

1884 წ. მე თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შეველ და და ამავე წელსვე სემინარიას რექტორად მოევლინა პავლე ჩუდეცკი,—კაცი სასტიკი და დაუნდობელი.

თავიდანვე ამითვალისწუნა და მე იძულებული ვიყავი მეორე კლასის დასრულების შემდეგ ქ. სტავროპოლის სემინარიაში გადავსულიყავი.

აქ უარესი რეჟიმი შემხვდა. ყოველი მოწაფე იდევნებოდა და ქართველ მოწაფეს ხომ ვინ დაინდობდა?

ბნელი ნისლით იყო მოცული ჩემი ცხოვრება შავრაზმულ სემინარიის კედლებში და ისიც სამშობლოსგან დაშორებით. ქართველი კაცის ნახვა (ქართველი მოწაფენი სულ ოთხნი ვიყავით მთელს სტავროპოლში.) ჩვენთვის აღდგომა იყო. ერთი ასეთი ბრწყინვალე დღე გამიოენდა, როცა იქაურ ქართველ მასწავლებლის—იოსებ ლაგაზიძის ოჯახში გავიცანი საქართველოდან გადმოსახლებული დიმიტრი ყიფიანი. მისმა თოვლივით ჭაღარამ, და ტკბილმა ლაპარაკმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. წასვლისას მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ყმაწვილო, გთხოვთ თქვენი ამხანაგებით იაროთ ჩემთან. მე, რასაკვირველია, სიხარულით მივიღე მისი თხოვნა და რამდენიმე დღის შემდეგ მარტო მე მომიხდა მისვლა მასთან.

დიმიტრი სახლში დამიხვდა და პატარა ხანის უკან ის უკვე მარიგებდა. „გიყვარდეთ საქართველო, იკითხეთ ქართული წიგნები, გაზეთები. სწავლის დასრულების შემდეგ უსათუოდ საქართველოში დაბრუნდით და სხ.

გამოსალმების შემდეგ მომცა „დროების" ნომრები და მთხოვა მასთან ხშირად მევლო.

გამოვიდა რამდენიმე კვირა და მე ველარ მოვახერხე მასთან მისვლა. ერთი თვის შემდეგ დამინახა თეატრში. ხელი დამიჭირა და მითხრა: „თქვენ ალბად არ გესიამოვნებათ მოხუცებულთან სიარული და ლაპარაკი, რას ვიზამ, ვერ გაგამტყუნებთ". მე ბოდიში მოვიხადე და გავაგებინე, რომ ჩვენი რეჟიმი ნებას არ მაძლევს მასთან სიარულისას. (4 საათის შემდეგ კარში გამოსვლა ვერ შეგვეძლო). ამ შეხვედრის შემდეგ ორჯერ კიდევ ვიყავი მასთან და წამოსვლისას ქართულ გაზეთებს თან მატანდა.

1887 წ. 24 ოქტომბერი იყო. დილა ადრიან მთავარ ქუჩაზე მივეშურებოდი. შორიდანვე დავინახე დიმიტრი ყიფიანის სადგომთან აუარებელი ხალხი ირეოდა.

მაშინვე ვიგრძენი, რაშიაც იყო საქმე.

— ბებერი ბერძენის ღენერალი მოუკლავთო, იძახოდნენ აქეთ-იქით. მე მაშინვე გავარღვიე ბრბო და ავარდი კიბეზე, სადაც პოლიციელი დამხვდა მუშტით. მე უთხარი: ჩემი ბიძაა, გთხოვთ გამიშვათ. პოლიციელი დამაკვირდა, გაარკვია რა, რომ მე არა რუსი ვიყავი, ამიშვა. ერთი წუთის შემდეგ მე აღელვებული და ცრემლმორეული ვიდექი დიმიტრის საწოლის გვერდით. თოვლივით სპეტაკ საწოლში და საცვლებში დიმიტრი იწვა პირსახოცით ფეხებ და ხელებ შეკრული. საფეთქელში ჰქონდა დარტყმული გირი ან რაღაც მრგვალი რამ. ჩაჭეჭყილიდან ტვინი და სისხლი გადმოხეთქოდა სპეტაკ ჭაღარაზე და საცვლებზე. მალე მოვიდა ექ. კ. ელიაშვილი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია. გვამს გაუკეთა ბალზამი. შიგნერი იქვე დააკრძალვინა, მოიყვანა ღვდლები პანაშვიდისათვის და ყოველმხრივ პატრონობდა. ეს ამაგი დღემდე არავისგან აღნიშნული არ არის. დადგა გამოსვენების დღე. სემინარიაში სასტიკად აგვიკრძალეს დავსწრებოდით დიმიტრის გამოსვენებას. მე რასაკვირველია, არ დავემორჩილე ამ ბრძანებას. გამომცილებელ პროცესიას შეადგენდა მხოლოდ ადგილობრივი ქართული და ნაწილობრივ სომხის ინტელიგენცია.

გამცილებაში მონაწილეობის მიღებისათვის სემინარიის მმართველობამ ატესტატში ყოფა ქცევაზე ოთხი დამიწერეს.

რაც შეეხება სოსო ლაღიაშვილს. რომელმაც განგმირა რექტორი ჩუდენკი, ჩემთან ერთად იჯდა საკლასო პარტოზე და ჩემი პირადი მეგობარი იყო. მეტად წყნარი და საწყალი იყო. ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა (ლიბრით გადაკრული) და ამხანაგები ამის გამო ათასნაირად აწვალებდენ. მე ეხლაც მიკვირს ასეთმა საწყალმა ადამიანმა, როგორ გაბედა ასეთი გმირული საქმე. ალბად ყველაფერს თავისი საზღარი მქვს და ისიც გმირად გახადა შურისძიებამ.

**ალექსანდრე ლეონიძე.**



## სეიფულა იოსელიანი

სეიფელა იოსელიანი 34 წლისაა. აღზრდილია სპარსეთში. სწავლა განათლება მიუღია სპარსეთშივე. მშვენიერად იცის სპარსული, არაბული და სხ. ქართული წერა კითხვაც სპარსეთში შეისწავლა ლადო აღნიაშვილის მიერ ჩატანილ წიგნებიდან. ქართულს მეტად სუფთად ლაპარაკობს. ცოლშვილიანია, უპირებია შვილების წამოყვანა თბილისში და აქ სასწავლებელში მიბარება.

სეიფელა იოსელიანის შუამდგომლობს მთავრობა დადებითად შეეგება და მოკლე ხანში ფერეიდანში გაიგზავნება მთელი ექსპედიცია მასწავლებლებისა ექიმებისა და სხვ,.

აქვე მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ფერეიდანიდან პირველად ჩამოვიდნენ: ონიკაშვილი და ხუციშვილი 1874 წ. შემდეგ ყოლა ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლა მრეზა ხუციშვილი 1904 წ. ახალგაზდა მოწაფე მაყაშვილი 1907 წ. შემდეგ მამა და ბიძა მაყაშვილები ხოლო დღეს უკანასკნელად ბ სეფელა იოსელიანი

## ლიტერატურული ქრონიკა

### იაკობ ნიკოლაძის იუბილე.

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტთან ხელოვანთა სასახლეში პარასკევს 10 ნოემბრს შესდგა იაკობ ნიკოლაძის იუბილეს მომწყობ კომისიის კრება. კრებაზე გადასწყდა იუბილე გაიმართოს 3 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ბანკეტი ხელოვანთა სასახლეში. კომისიამ იაკობ ნიკოლაძეზე მოხსენებების წაკითხვა მიანდო გრიგოლ რობაქიძეს, ივანე გომართელს და ვახტანგ კოტეტიშვილს. იუბილეს დღეს დარბაზში მოეწყობა იაკობ ნიკოლაძის ნაწარმოებთა გამოფენა თვითონ იუბილიარის ხელმძღვანელობით. კომისიამ დაადგინა აგრეთვე ნიკოლაძის გაკეთებული აკაკი წერეთლის დიდი ბიუსტი იქნეს შეძენილი სახელმწიფო ხარჯით და დაიდგას დიდების ტაძარის წინ, თუ ეს არ იქნა მოსახერხებელი, მაშინ ბიუსტი დაიდგმება ხელოვანთა სასახლეში, უნდა დაიკიდოს აგრეთვე იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი შესრულებული მხატვარი ქალი ქეთო მაღალაშვილისგან, ეს სურათიც უნდა იყოს შეძენილი სახელმწიფო ხარჯით. კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ქალაქ ტფილისის აღმასკომის წინაშე, რათა იმ ქუჩას, რომელზედაც იაკობ ნიკოლაძე ცხოვრობს ეწოდოს ნიკოლაძის ქუჩა. დაარსდეს აგრეთვე ერთი სტიპენდია სამხატვრო აკადემიაში სკულპტურის კლასსზე იაკობ ნიკოლაძის სახელობის, ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდისთვის. კომისიამ დაადგინა ეთხოვოს სახელმწიფო გამომცემლობას, გამოსცეს 70 გვერდიანი წიგნი იაკობ ნიკოლაძეზე, როაელშიც მოთავსებული იქნება წერილები ნიკოლაძის შემოქმედებაზე და აგრეთვე რეპროდუქციები მისი ნაშრომების. რედაქცია ამ წიგნის დაევალა ი. გრიშაშვილს, ტიციან ტაბიძეს და სანდრო ყანჩელს...

### არტურ ლეისტის წიგნი.

არტურ ლეისტმა შეიტანა განცხადება სახელმწიფო გამომცემლობაში რომ დაიბეჭდოს მისი წიგნი ქართულ ენაზე „საქართველოს გული" წიგნში მოთავსებული იქნება ის წერილები, რომელიც იბეჭდებიან გაზეთ „ბახტრიონში" და აგრეთვე ახალი წერილები, რომელსაც ამზადებს ავტორი ამ წიგნისთვის.

წერილებში აწერილია საქართველოს ბუნება, ქართული ხასიათი, ქართული ტიპები; წიგნში იქნება აგრეთვე მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე, ივანე მაჩაბელზე, იაკობ გოგებაშვილზე და სხვა არტურ ლეისტის თანამედროვე ქართველ მწერლებზე და საზოგადო მოღვაწეებზე. წიგნი დაახლოვებით იქნება 150 გვერდიანი... საინტერესოა ხასიათი წიგნის და აგრეთვე დამსახურება. არტურ ლეისტის აქვს საკმაო გარანტია იმის, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ ეს წიგნი დაიბეჭდოს დაჩქარებით და აუცილებლად.

### დავით კლდიაშვილი

გაზ. „ბახტრიონის" რედაქციამ დავით კლდიაშვილისაგან მიიღო დაგვიანებული მილოცვა არტურ ლეისტისადმი მისი იუბილეს გამო.

ამასთან იგი აცნობებს რედაქციას, რომ მოკლე ხანში გამოუგზავნით თავის ვრცელ მოგონებებს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და ქართულ მწერლობაზე 1894—1917 წ.

### დიმიტრი ყიფიანის საფლავზე

კვირას, ნოემბერის 12—ს დიმიტრი ყიფიანის საფლავზე სიკვდილიდან 35 წლის შესრულების გამო მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათალიკო-პატრიარქის ამბროსის მიერ გადახდილ იქნა წირვა და პანაივიდი. პანაშვიდზე მათი უწმინდესობისაგან წარმოთქმულ იქმნა სიტყვა. პანაშვიდს დაესწრენ ქართველი მწერლები, მოღვაწენი, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები, სამღვდელოება და სხვანი.

### „ბახტრიონის" ფოსტა.

**ქუთაისი**—კოლაუ ნადირაძეს, სანდრო ცირეკიძეს.

ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს

**ბათუმი**—იოანე. ყიფიანს

ალი არსენიშვილს

**პარიზი**—ლელიანს

ლადო გუდიაშვილის

**ჰააგა**—ნიკოლო მიწიშვილს.

**გამოგვიგზავნეთ ლექსები და წერილები**

## პატარა ფელეტონი

### ფეხ სამოსი

სამეგრელოში მოძეგვლს, კარგა მოთელილს და გამომდგარ სამოგვესაგან მშვენიერი ხელი მეგრელი ქალისა ჰკერავდა

წულას.

იყო მოსირმული, იყო

მოქარგული.

თვალის ჩინი კოლხეთის ასულისა

შიგ იყო ჩალეული.

—

სადღაც ჩრდილოეთის სიკარგეში

იყო ქარხანა ფეხსამოსებისა.

ომი დასჭირდა თუ რაც

და ამ საჭიროებამ შექმნა „ფაბრიკული" ჩექმა მაგარი, დალურსმული.

—

იქსოვებოდა ქიზიყში საარაკო ქსოვილი, ოქრო-მკედდებოდა მარგალიტით მოოჭვილი

ქოში.

ამას აკეთებდა შავ-თვალა ვაჟ-კაცი

და ყოველ მარგალიტის მ.,მაგრებაზე

საამური კვნესა აღმოხდებოდა.

—

და აი ათამაშდნენ ეს ფეხსამოსები.

ერთი მეორისაკენ მათ თითქო ჰქონდათ ლტოლვილება, მაგრამ ერთი მეორე ჯერ ენახათ.

წუღა ათამაშდა იმ-ერეთში, „გაუსვა და გამოუსვა".

ქოში აგოგმანდა...

და Ცსე ატრიალებულნი ისინი შეიყარნენ

შუა ქართლში.

ჩამოიარეს დავლური.

დიდი ხანია ესეთი დავლური არ ენახა მცოდნეებს.

მთელი სიმფონია იყო სიყვარულისა

ფეხებით თქმული.

იყო ქოში დარცხვენილათ მოგოგმანე,

წუღა მარდი, ვეფხივით სწრაფი და ცუღლუტი.

—

ამ დროს მათ შორის გაჩნდა წმინდანი,

დიდი ჩექმა

და გულ-უბრყვილოთ გაიღიმა.

მასაც უნდა ამ წერწეტა ფეხსამოსებთან...

თავის სიფართოვით ებუქნავა.

მოში შეკრთა და მოკრძალების ნიშნად თავზე კაბა წამოიფარა, ასე რომ ცხვირის მეტი არა გამოუჩნდა-რა·

წუღა გაკვირვებით „ძიწკზე" გაჩერდა და გაქვავდა·

ჩექმას გაუკვირდა ეს ამბავი და... გული დაწყდა.

—

ჩექმამ არ იცოდა ამბავი, ამბავი სიყვარულისა

წუღის და ქოშის.

**შალვა. დადიანი**

## დ ო ღ ი

თბილისის საშემოდგომო სეზონი გააცოცხლა და მართლა სეზონის სახე მისცა, დიდუბეში გამართულმა დოღმა სადაც უკვე ექვსი მარულა გაიმართა და სამი კიდევ პერსპექტივაშია. საოცარის სისწრაფით მოხდა ქართული სახელმწიფო საჯინიბოს მოწყობა. უსათუოდ დიდი შრომა გასწიეს საჯინიბეს გამგეებმა ა. წულუკიძემ და სიმონ ფხაკაძემ, და სულ რამდენიმე თვეში მოაწყეს ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი დოღი, რომელსაც ყოველ მორთულის დროს აუარებელი ხალხი აწყდება.

საზოგადოთ საქართველოში სპორტის საქმე ეწყობა, და ეს უსათუოდ სასიამოვნო მოვლენაა. კერძოდ დოღს დიდი მომავალი ექნება, რადგან ეს ახალი მოვლენა არ არის ჩვენთვის, ისტორიულად ეს გამართლებულა, და ახლო წარსულშიც ქართველი კავალერისტები. ლეგენდებს ქმნიდენ. ჯერ დოღზე არ არის და რჩევა წმინდა სისხლიან ცხენების, მაგრამ მაინც ბევრით კეთილ შობილ ჯიშის, და სხვა და სხვა შერევის. მარულებში პირველათ რჩება ნესტორ ლოლუას „ყარა გიორგის" რომელსაც ყოველთვის ეტიქებიან „ოკას" „გროზნაია" და წითური „სადიკი" მიუხედავად დიდ მონდომასა ჟოკეი. მამიკონიანი მაინც ვერ ელირსა „გროზნაით" კარა გეორგის დაჩაგვრა, უკანასკნელმა ამ სეზონში ხუთი ჯილდო მიიღო და გახდა პირველი ფავორიტი.

X.

რედაქტორი **გიორგი ლეონიძე**

**1922 წლის 25 ნოემბერს ქ. თბილისში ცეკავშირის ბინაზე (შტაბის ქ. ს. № 4) შესდგება საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული.**

# კავშირის რწმუნებულთა მესამე წლიური

# ყ რ ი ლ ო ბ ა

## ყრილობის დღიური წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება 1921 და 1922 წ. საქმიანობაზე.
2. 1921 წ. ფინანსიური ან-გი და მოგების განაწილების პროექტი.
3. მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. მომავალი მოქმედების გეგმა.
6. კოოპერატიული მშენებლობის საკითხები:
   - ა) საქართველოს კოოპერაციის საორგანიზაციო წყობა.
   - ბ) მუშათა, სატრანსპორ. და სამხედრო კოოპერატივების ადგილები ცეკავშირის სისტემაში.
   - გ) სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული სტრუქტურა და მათი დამოკიდებულება „ცეკავშირთან“.
   - დ) ურთიერთობა მეზობელ ქვეყნების კოოპერატიულ ცენტრებთან.
7. არჩევნები და
8. მიმდინარე საკითხები.

ცეკავშირის წესდება მე 8, 9, 10, 11, 29 და 30 მუხლების თანახმად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებად ითვლებიან შემდეგი კოოპერატიული ორგანიზაციები. რომლებიც გზავნიან აქვე ჩამოთვლილ რიცხვს რწმუნებულებისას:

| | | |
|---|---|---|
| 1. ქუთაისის კოოპ. სარ. კავშ. გზავნის 10 რწმუნებ. | 9. ოზურგეთის კოოპ. სარ. კავშ. გზავნის 5 რწმ. | 17. საჯევახოს კოოპ. სარ. კავშ. გზავნის 3 რწმუნ. |
| 2. თბილისის „ „ „ „ 8 „ | 10. ლანჩხუთის „ „ „ „ 5 „ | 18. შათომის მომხმარებ. საზოგ. „ 2 „ |
| 3. კახეთის „ „ „ „ 8 „ | 11. სამტრედიის „ „ „ „ 5 „ | 19. ნატანების კოოპერ. სარ. კავშ. „ 1 „ |
| 4. ზესტაფონ. „ „ „ „ 8 „ | 12. ჭიათურა-საჩხერის „ „ „ „ 5 „ | 20. ფოთის მომხმარ. საზ. „ეკონ.“ „ 1 „ |
| 5. სიღნაღის „ „ „ „ 8 „ | 13. სენაკის „ „ „ „ 5 „ | 21. ზუგდიდის სას. სამ. ამხ. „კულ.“ „ 1 „ |
| 6. გომის „ „ „ „ 8 „ | 14. ჩოხატაურის „ „ „ „ 3 „ | 22. ქობულეთის ცენტ. კოოოპერ. „ 1 „ |
| 7. გორის „ „ „ „ 5 „ | 15. აბაშის „ „ „ „ 3 „ | 23. საქართველ. კოოპერატ. ბანკი „ 1 „ |
| 8. ზუგდ. სამურზაყ. „ „ „ „ 5 „ | 16. სოხუმის „ „ „ „ 3 „ | |

რწმუნებულთა რიცხვი, რომლის რაოდენობა ზევით არის აღნიშნული და რომელსაც მოკავშირეთა ორგანიზაციები გამოგზავნიან ცეკავშირის ყრილობაზე, დაყრდნობილია მოკავშირეთა ორგანიზაციების წევრთა შემადგენლობის იმ ცნობებზე, რომელიც სეკრეტარიატს მიეპოვება ამა 1922 წ. 1 იანვრისათვის. თუ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება, ცეკავშირის წევრებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ახალი ცნობები და მათი რიცხვიც სათანადოთ შეიცვლება.

დუშეთის კავშირს, როგორც ფაქტიურად არ არსებულს, რწმუნებულების გამოგზავნის უფლება ესპობა; მაზრაში ფაქტიურად მომქმედ კოოპერატივებს აქვთ უფლება, თავიანთი წევრების რიცხვთა მიხედვით, ცეკავშირის ყრილობაზე რწმუნებულები გამოგზავნონ, რწმუნებულების ასარჩევად უნდა მოაწყონ საგანგებო ყრილობა.

ცეკავშირის ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ აგრეთვე ცეკავშირის ბიუროს წევრებს (თუ ისინი ვერ დაესწრებიან, მაშინ მათ მოადგილეებს) ცეკავშირის გამგეობას და სარევიზიო კომისიისწევრებს.

ცეკავშირის წესდების მე-29 მუხ. თანახმად რწმუნებ. ყრილობა შესდგება მოკავშ. ორგანიზაციების წევრთაგან თავიანთ კრებაზე 1 წლის ვადით სპეციალ. ამორჩეულ პირებისაგან.

კავშირების გამგეობა სთხოვს საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებს დაუყონებლივ გადმოგზავნონ წესდების მე-9, 10, 11, 29 და 30 მუხლების თანახმად არჩეული რწმუნებულთა სია.

ყრილობაზე გამოგზავნილ რწმუნებულებთ თან უნდა ექნეთ სათანადო მანდატები.

ყრილობის მოწვევის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ცეკავშირის გამგეობის მდივანთან.

**ცეკავშირის გამგეობა**

## ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი

**ამით აცხადებს, რომ მის მიერ 19 ნოემბერს დილის 10 საათზე სოფელ გურჯაანში მოწვეულია კახეთის მევენახეთა ყ რ ი ლ ო ბ ა შემდეგი წესით და პროგრამით:**

1. ყრილობას შადგენენ: 1) თითო წარმომადგენელი სოფლის აღმასკომების, 2) ორ-ორი წარმომადგენელი ყოველივე სოფლიდან, სადაც მისდევენ მევენახეობას, 3) თითო წარმომადგენელი სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებებიდან, 4) მმართველი ორგანოები არსებულ მევენახეთა კოოპერატიულ კავშირებისაგან, 5) თითო წარმომადგენელი სამაზრო აღმასკომისა, 6) თითო წარმომადგენელი სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებისა, 7) თითო წარმომადგენელი სამაზრო კოოპერატიული კავშირისა, 8) სხვადასხვა დაწესებულებათა-წარმომადგენელნი, განსაკუთრებული მოწვევით და 9) სათათბირო ხმით ყველა დაინტერესებული მეღვინე და სპეციალისტი.

2. ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს შესაფერი მანდატი გამომგზავნელ დაწესებულებიდან.

3) ყრილობას ხსნის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს.

4). ყრილობის სამუშაო საგანს შეადგენს შეადგენს წერილობითი და სიტყვიერ მოხსენებათა განხილვა, თანახმად დამტკიცებული პროგრამისა და მათ შესახებ დადგენილებების გამოტანა.

### პ რ ო გ რ ა მ ა ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა

1. მოხსენება კახეთის მევენახეობაში ფილოქსერის გავრცელებით შექმნილ მდგომარეობაზედ. მომხსენებელი ს. ჩოლოყაშვილი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან ვენახების მდგომარეობაზედ.
3. საჭირო ღონისძიებანი ვენახების აღდგენისათვის (ამერიკულ ვაზის სანერგების და დედა ვაზის გაშენება, საცდელ საჩვენებელი ვენახების მოწყობა, ნიადაგის გამოკვლევა და მათი აღნიშვნა რუქაზედ, პრაქტიკულ-სკოლების და კურსების მოწყობა და ფართე აგრონომიული დახმარება და სხვა). მოხსენებული საორგანიზაციო ბიურო.
4. ვენახების აღდგენისათვის საჭირო ორგანიზაციის შექმნა, მისი სტრუქტურა და საშუალებანი. მომხსენებელი საორგანიზაციო ბიურო.
5. მიმდინარე საკითხები.

**ყრილობის მომწყობი ბიურო მოთავსებულია მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობისა და მეღვინეობის ქვე განყოფილებაში.**

თავმჯდომარე ბიუროსი ი. ანდრონიკაშვილი.

მდივანი ვ ბიბილაშვილი.


## საგაჭრო-სამრეწვ. ამხანაგობა

# „ხორც-პროდუქტი“

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ 4 ნოემბერს

შესდგა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციების სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა

## „ხორც-პროდუქტის“ სახელწოდ.

სასაკლაო საქონლის და ხორცის პროდუქტების დასამზადებლად, როგორც შინაურ ისე საგარეო ბაზარზე.

აღნიშნულ ამხანაგობაში შედიან: ტფილისის აღმასკომი და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

ამხანაგობას აქვს ცენტრალური კანტორა ტფილისში და დამამზადებელი პუნქტები ტფილისის ქალაქის სასაკლაოებიდან და ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ შახტახტში.

ამხანაგობა უკვე შეუდგა ოპერაციების წარმოებას და მიაწოდებს სახელმწიფო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს მის მიერ დამზადებულ პროდუქტებს:

პროდუქტები საუკეთესო ხარისხისაა და იყიდება ბაზრის ფასებზე იაფად

სამუშაო და მეწველი საქონლის ხორცს (მროხის, ცხვრის და ღორისას) ხორცის პროდუქტებს (მეხვებს, ლორს და სხვა).

გადამღნარ, საჭმელ და ტეხნიკურ **ქონს**

ცხვრის ტყავებს და ყოველ. პროდუქტებს

პროდუქტები საუკეთესო ხარისხისაა და იყიდება ბაზრის ფასებზე იაფად

ამხანაგობის ცენტრალური კანტორა მოთავსებულია ჯორჯიაშვილის (ყოფილი ბარიათინსკის) ქუჩაზე, № 6 სახლში.

ტფილისის დამამზადებელი პუნქტი იმყოფება ქალაქის სასაკლაოებთან, ტელეფონი 8—66.

გ ა მ გ ე ო ბ ა.


ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა.